



GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების
დინამიკა და თანამშრომლობის შესაძლებლობები

დავით შატაკიშვილი

206

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

დავით შატაკიშვილი

საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობების
დინამიკა და თანამშრომლობის შესაძლებლობები

208

2023



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2023 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

შესავალი

საქართველოსთვის სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა ევროკავშირთან საკანონმდებლო, სავაჭრო, ლოჯისტიკური, ფინანსური და ეკონომიკური დაახლოება, რაც საბოლოოდ სრულფასოვანი ინტეგრაციით უნდა დასრულდეს. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ეხმარება ინფრასტრუქტურული, ციფრული და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაში, უდიდეს როლს ასრულებს მისი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო სექტორის გაძლიერებაში. 2014 წლის ივნისში საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რომელიც 2016 წლის ივლისიდან შევიდა ძალაში. 2017 წლის მარტში კი საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა. ამავე წელს საქართველოს კონსტიტუციაში აისახა ქართველი ხალხის ურყევი ნება ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის თაობაზე.

ათწლეულების განმავლობაში საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკურმა ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. დინამიკურად იზრდება მხარეებს შორის სავაჭრო ბრუნვა, ინვესტიციების მოცულობა, საექსპორტო და საიმპორტო სასაქონლო ნომენკლატურა, შემომავალი და გამავალი ტურისტების რაოდენობა, ფულადი გზავნილების მოცულობა, საერთო რეგიონულ სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრაციის ხარისხი და სხვა. მცირე და განვითარებადი ეკონომიკის მქონე საქართველოსთვის ევროკავშირთან, როგორც საიმედო და სტაბილურ პარტნიორთან ურთიერთობა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანაა. საინტერესოა განვიხილოთ მხარეებს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები და მიმოვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი სექტორები, როგორებიცაა: საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ფულადი გზავნილები, ტურიზმი და სავალუტო ბაზარი. ასევე გამოვკვეთთ ორმხრივი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები და სამომავლო პერსპექტივები.


ვაჭრობა

2022 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 19 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. ქვეყანამ ექსპორტზე 5.6 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი გაიტანა, რაც მისთვის რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია (Geostat, 2022). ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის ღირებულებამ გასულ წელს ასევე თავის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 862.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპორტის პანდემიის შემდგომი აღდგენის მაჩვენებელი, რომელმაც 2022 წელს 2019 წლის ექსპორტის შედეგს 7%-ით გადააჭარბა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2020 წელს, მიუხედავად გლობალური პანდემიისა, ქვეყანამ შეინარჩუნა სტაბილური ეკონომიკური კავშირები ევროკავშირის სახელმწიფოებთან და ექსპორტის საგრძნობი ვარდნა არ დაფიქსირებულა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველომ

ევროკავშირის ქვეყნებში 213.9 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი გაყიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 2.9%-ით მეტია. მეორე კვარტალში კი ქვეყანამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში 184.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის ექსპორტი განახორციელა, რაც გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 21.4%-ით ნაკლებია (Geostat, 2023).

გრაფიკზე 1.1 წარმოდგენილია საქართველოს ჯამური ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში, წლების მიხედვით, რაც ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და სამომავლოდ უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავების იმედსაც იძლევა.

გრაფიკი 1.1




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება იმპორტს, გასულ წელს საქართველომ 13.6 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტი განახორციელა, რაც ქვეყნისთვის ასევე ისტორიულად მაღალი მაჩვენებელია. მათ შორის, საქართველომ ევროკავშირის ქვეყნებიდან 3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელი იყიდა (Geostat, 2022). პანდემიურ 2020 წელს იმპორტის მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით, შემცირდა. თუმცა, პანდემიის შემდგომი პერიოდი აღდგენის დადებითი დინამიკით ხასიათდება და გასულ წელს პირველად გადასცდა 3-მილიარდ დოლარიან ნიშნულს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველომ ევროკავშირისგან 845.7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი შეიძინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 39%-ით მეტია. მეორე კვარტალში კი ქვეყანამ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან 902.7 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების იმპორტი განახორციელა, რაც გასული წლის ამავე პერიოდს 25%-ით აჭარბებს (Geostat, 2023).

გრაფიკზე 1.2 ნაჩვენებია საქართველოს ჯამური იმპორტი ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, წლების მიხედვით. ეს მაჩვენებლები საქართველო-ევროკავშირის შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მეტყველებს, რაც მზარდია და იმედია, ეს პროცესი შეუქცევადი გახდება.

გრაფიკი 1.2




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოსთვის საიმედო სავაჭრო პარტნიორების მოძიება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ამოცანაა. ბოლო წლების მანძილზე საქართველოს ექსპორტში შემცირებულია როგორც რუსეთის, ასევე ევროკავშირის ქვეყნების პროცენტული წილები. მაგალითად, რუსეთის პროცენტული წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 2018 და 2019 წლებში იყო 13%, 2020 წელს – 13.2%, 2021 წელს – 14.4%, ხოლო 2022 წელს მისი წილი 11.6%-მდე შემცირდა. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, მათი წილი საქართველოს ექსპორტში 2018 წელს იყო 21%, 2019 წელს – 21.2%, 2020 წელს – 21%, 2021 წელს – 17%, 2022 წელს კი 15.4%-მდე შემცირდა (Geostat, 2022).

პროცენტული კლების მიუხედავად, ორივე შემთხვევაში მზარდია ექსპორტის რაოდენობრივი, დოლარში გამოსახული, მაჩვენებლები, რაც ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნა იზრდება სხვა ბაზრებზეც და ხდება მათი დივერსიფიცირება, რაც თავისთავად პოზიტიური ტენდენციაა. მაგალითად ავილოთ ჩინეთი, რომლის წილიც 2018 წელს საქართველოს ექსპორტში 5.9% იყო, ხოლო 2022 წელს – 13.1%, რაც რაოდენობრივად 730 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. იგივე შეიძლება ითქვას ცენტრალური აზიის სახელმწიფოებზეც, სადაც ექსპორტის შესამჩნევი ზრდა ფიქსირდება. მაგალითად, 2018 წელს ყაზახეთზე საქართველოს მთლიანი ექსპორტის 2.6% მოდიოდა, მაშინ, როდესაც გასულ წელს ამ მაჩვენებელმა 4.2% შეადგინა და 240 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია (Geostat, 2022).

დიაგრამაზე 1.1 წარმოდგენილია საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2022 წელს. მეზობელ ქვეყნებთან ერთად აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, სადაც უმსხვილესი ბაზრებია ბულგარეთი (423.7 მლნ აშშ დოლარი), გერმანია (67.7 მლნ აშშ დოლარი), იტალია (61.5 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთი 51.7 (მლნ აშშ დოლარი) და პოლონეთი (47.1 მლნ აშშ დოლარი). საერთო ჯამში, ევროკავშირი საქართველოს მთლიან ექსპორტში 15.4%-იან წილს იკავებს, რაც ღირებულებაში გამოსახული 862.8 მილიონი აშშ დოლარია (Geostat, 2022).


დიაგრამა 1.1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამაზე 1.2 კი წარმოდგენილია საქართველოს იმპორტის განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით. ამ კუთხით, ევროკავშირის ქვეყნების წილი 23%-ია, რაც ღირებულებით 3 მილიარდ დოლარს აღემატება. ევროგაერთიანებიდან საქართველოსთვის უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნებია გერმანია (673.4 მლნ აშშ დოლარი), რუმინეთი (292 მლნ აშშ დოლარი), იტალია (287.9 მლნ აშშ დოლარი), პოლონეთი (213.1 მლნ აშშ დოლარი), საფრანგეთი (212.5 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდები (207 მლნ აშშ დოლარი) და ბულგარეთი (203.2 მლნ აშშ დოლარი).

დიაგრამა 1.2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის წლიური ანგარიშის თანახმად, 2022 წელს საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ზრდა დაფიქსირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე: ღვინო (ზრდა 7%), სპირტიანი სასმელები (14%), მსუბუქი ავტომობილები (ზრდა 43%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (ზრდა 39%), ტანსაცმლის თარგები (ზრდა 169%) და სპილენძის ჯართი (ზრდა 188%). ექსპორტი კი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე: თხილი (კლება 8%), ძვირფასი ლითონის ჯართი (კლება 45%) და აზოტოვანი სასუქები (კლება 61%). ცხრილში 1.1 წარმოდგენილია 2022 წელს საქართველოს 10 უმსხვილესი საექსპორტო პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე.

ცხრილი 1.1

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები ევროკავშირის ქვეყნებში, 2022 წ.

	დასახელება	ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)
1	სპილენძის მადნები და კონცენტრატები	437.8
2	თხილი და სხვა კაკალი	74
3	ყურძნის ნატურალური ღვინოები	30.7
4	მსუბუქი ავტომობილები	30
5	ფეროშენადნობები	26.5
6	ეთილის სპირტი არადენატურიებული, სპირტიანი სასმელები	23.7
7	სასუქები მინერალური ან ქიმიური, აზოტოვანი	18.6
8	მზა ნაწარმი სხვა, ტანსაცმლის თარგების ჩათვლით	17.7
9	ძვირფასი ლითონების ნარჩენები და ჯართი	10.9
10	მინერალური და მტკნარი წყლები	9.5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ამავე ანგარიშის თანახმად, საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყებიდან გაიზარდა შემდეგ პროდუქტებზე: შაქარი (ზრდა 47%), ფრინველის ხორცი (ზრდა 44%), ნავთობი და ნავთობპროდუქტები (ზრდა 41%), მსუბუქი ავტომობილები (ზრდა 109%), ცხოველის საკვები (ზრდა 39%), სასმელების წარმოებაში გამოსაყენებელი ნარევი (ზრდა 39%). საქართველოს იმპორტი კი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე: ლაბორატორიული რეაგენტები (კლება 38%) და სამკურნალო საშუალებები (კლება 8%). ცხრილში 1.2 მოცემულია 2022 წელს საქართველოს 10 უმსხვილესი საიმპორტო პროდუქტი ევროკავშირის ქვეყნებიდან.

ცხრილი 1.2

საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო პოზიციები ევროკავშირის ქვეყნებიდან, 2022 წ.

	დასახელება	ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)
1	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	440.2
2	მსუბუქი ავტომობილები	298.2
3	სამკურნალო საშუალებები დაფასობული	205.5
4	სატელეფონო აპარატები	74.2
5	სატვირთო ავტომობილები	68.3
6	ტრაქტორები და უნაგირა სანეკარები	55.9
7	გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	49
8	ნარეგები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში	38.5
9	ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი	36.3
10	კოსმეტიკური საშუალებები	32.4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით ნათლად ჩანს, რომ საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა ზრდის დადებითი დინამიკით ხასიათდება და იზრდება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის მაჩვენებლები. ცხადია, ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებამ (DCFTA), რომელიც 2016 წლის ივლისიდან შევიდა ძალაში. აღნიშნული მონაცემები იძლევა დადებითი პროგნოზების გაკეთების საშუალებას, რომ საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო გაიზრდება როგორც საგარეო ვაჭრობა, ასევე სასაქონლო ნომენკლატურა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2022 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ქვეყნისთვის ისტორიული მაქსიმუმია (Geostat, 2022). 2021 წელთან შედარებით, ზრდა კი 61%-ია. ამ კუთხით, ევროკავშირის წილი საქართველოში შემომავალ ინვესტიციებში 43%-ს შეადგენს, რაც აშშ დოლარში გამოსახული 859.6 მილიონია. ევროგაერთიანების შემდეგ უმსხვილესი ინვესტორი სახელმწიფოა გაერთიანებული სამეფო, რომელმაც 2022 წელს 428.3 მილიონის ინვესტირება განახორციელა და 21.4%-იანი

წილი დაიკავა. შემდგომ პოზიციებს კი შეერთებული შტატები, ჩინეთი, თურქეთი, რუსეთი და სხვა სახელმწიფოები ინაწილებენ. დიაგრამაზე 1.3 წარმოდგენილია საქართველოში შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება, უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით, 2022 წელს.

დიაგრამა 1.3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გასულ წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 860 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც ისტორიულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ამ რიცხვებმა შესაძლოა ვერ გამოხატოს სრული სურათი, რადგან საქართველო ევროკავშირისგან იღებს მნიშვნელოვან თანხებს სამთავრობო დახმარებებისა და გრძელვადიანი შუღავათიანი კრედიტების სახით. ასევე იგი გასცემს სამოქალაქო სექტორის გაძლიერების გრანტებს. აქ იგულისხმება ევროკავშირი, როგორც ინსტიტუტი, და ასევე ცალკეული ქვეყნების მთავრობები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები.


ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი დონორია. ქვეყნის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეფორმების მხარდასაჭერად იგი ყოველწლიურად დაახლოებით 100 მილიონ ევროს გრანტს გასცემს (European Commission, 2022). 2014-2021 წლებში საქართველომ ევროკავშირისგან გრანტების სახით 819 მილიონი ევრო მიიღო, რასაც ემატება 326 მლნ ევროს ღირებულების მაკროფინანსური დახმარების პაკეტი. 2021-2024 წლებში კი ევროგაერთიანებისგან საქართველოსთვის განკუთვნილი გრანტების მოცულობა 340 მილიონი ევროს ოდენობითაა გათვა-

ლისწინებული (European Commission, 2022). ამ დახმარებას ცალკე ემატება სხვადასხვა სახის რეგიონულ თუ თემატური პროგრამებზე გასაცემი სესხები და გრანტები. 2014 წლიდან საქართველოსთვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს 2.3 მილიარდი, ხოლო ევროპის საინვესტიციო ბანკს 1.6 მილიარდი ევრო აქვს გაცემული სესხის სახით, რომლითაც ქვეყანაში სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება (European Commission, 2022).

2022 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, მომდევნო წლებში ევროკავშირი განახორციელებს ინვესტიციებს შემდეგ საფლაგმანო პროექტებში: ელექტრობა და მონაცემთა კაბელი შავი ზღვის გავლით, საბორნე კავშირები შავ ზღვაში, 80 000 მცირე და საშუალო სანარმოს მხარდაჭერა, სუფთა ჰაერი და ენერგოეფექტიანობა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი 1000 სასოფლო თემისთვის (European Commission, 2022).

გრაფიკზე 1.3 მოცემულია ევროკავშირის ქვეყნიდან საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა 2016-2022 წლებში. გასულ წელს ამ კუთხით ლიდერი ქვეყნები იყვნენ ესპანეთი (366.9 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდები (145.7 მლნ აშშ დოლარი) და ირლანდია (120.8 მლნ აშშ დოლარი).

გრაფიკი 1.3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


ფულადი გზავნილები

2022 წელს საქართველომ ფულადი გზავნილების სახით 4 მილიარდ 372,4 მილიონი აშშ დოლარი მიღო, რაც 2021 წელთან შედარებით 86%-ით, 2020 წელთან შედარებით 132%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 152%-ით მეტია (National Bank of Georgia 2022). გასულ წელს ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა, თითქმის

2.1 მილიარდი აშშ დოლარი, რუსეთის ფედერაციიდან შემოვიდა, რაც 2021 წელთან შედარებით 5-ჯერ მეტია. მისმა წილმა გასულ წელს მთლიანი გზავნილების 47.3% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2021 წელს რუსეთზე ფულადი გზავნილების მხოლოდ 18% მოდიოდა (National Bank of Georgia 2022). გარდა ამისა, შემომავალ ფულად გზავნილებში გაზრდილია სხვა ქვეყნების წილები. მაგალითად, ფულადი გზავნილების მოცულობა გასულ წელს ყაზახეთიდან 89 მილიონით, ყირგიზეთიდან 80 მილიონით, გერმანიიდან 51 მილიონით, იტალიიდან 46 მილიონით, აშშ-დან 42 მილიონით, ხოლო ბელარუსიდან 39 მილიონი აშშ დოლარით არის გაზრდილი. 2022 წელს მნიშვნელოვნად, 81 მილიონით, შემცირდა უკრაინიდან ფულადი გზავნილების მოცულობა და მხოლოდ 11 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (National Bank of Georgia 2022).

დიაგრამაზე 1.4 წარმოდგენილია 2022 წელს საქართველოში შემომავალი ფულადი გზავნილების განაწილება ქვეყნების მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ გზავნილების თითქმის ნახევარი რუსეთზე მოდის, რომელსაც შემდგომ მოჰყვებიან ევროკავშირის ქვეყნები, აშშ და ისრაელი.

დიაგრამა 1.4




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2022 წელს საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან ფულადმა გზავნილებმა 1 068 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ფულადი ტრანზაქციების მხრივ უმსხვილესი ქვეყნებია: იტალია (431.6 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთი (223.9 მლნ აშშ დოლარი), გერმანია (164.3 მლნ აშშ დოლარი) და ესპანეთი (56.9 მლნ აშშ

დოლარი). გრაფიკზე 1.4 მოცემულია ფულადი გზავნილების დინამიკა ევროკავშირის ქვეყნებიდან, რომელიც ზრდის დადებითი დინამიკით ხასიათდება და პირველად გადააჭარბა 1 მილიარდ დოლარიან ნიშნულს.

გრაფიკი 1.4




წყარო: საქართველოს ეკონომიკის ბანკი

ტურიზმი

2022 წელს საქართველოს 5.4 მილიონი სტუმარი ეწვია (GNTA, 2022), საიდანაც ქვეყანამ 3.5 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც 2021 წელთან შედარებით 182%-ით მეტია და მთლიანი შიდა პროდუქტის 14.2% შეადგინა (National Bank of Georgia 2022). გასულ წელს ქვეყანაში ყველაზე მეტი, 1.1 მილიონი ვიზიტორი რუსეთის ფედერაციიდან შემოვიდა, ხოლო დანარჩენ პოზიციებს მეზობელი ქვეყნები ინაწილებენ (GNTA, 2022). დიაგრამაზე 1.5 მოცემულია 2022 წელს საქართველოში შემომავალი ტურისტების პროცენტული განაწილება ქვეყნების მიხედვით, სადაც ჩანს, რომ სხვა სექტორებისგან განსხვავებით, ევროკავშირის პროცენტული წილი ტურიზმში შედარებით ნაკლებია.

დიაგრამა 1.5




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ევროკავშირიდან საქართველოში შემომავალი ტურისტული ნაკადები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ყველაზე მეტი სტუმარი ქვეყანას 2019 წელს ჰყავდა, რომელთა რაოდენობამ 9.5 მილიონ ადამიანს გადააჭარბა, საიდანაც ევროკავშირის მოქალაქეების რაოდენობა 438 ათასი ადამიანი იყო. ცხადია, პანდემიურ 2020 წელს ამ კუთხით მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა, თუმცა შემდგომი აღდგენის დინამიკა იმედისმომცემია. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში საქართველოს 1.2 მილიონი ვიზიტორი ეწვია, საიდანაც ქვეყანამ 795 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო. მეორე კვარტალში კი საქართველოს საზღვარი 1.65 მილიონმა სტუმარმა გადაკვეთა, საიდანაც მიღებულმა შემოსავალმა 1 მილიარდ დოლარიან ნიშნულს გადააჭარბა. პირველ კვარტალში ევროკავშირიდან შემომავალი ვიზიტორების წილი 49.4 ათასი, ხოლო მეორე კვარტალში 107.2 ათასი ადამიანი იყო (GNTA, 2023).

ტურიზმი ეკონომიკის სპეციფიკური სექტორია, სადაც მყისიერი შედეგები რთულად მისაღწევია. საქართველო ეტაპობრივად ხდება პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილი ევროპელი დამსვენებლებისთვის და ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. სწორედ ამიტომ არაა გასაკვირი ტურიზმში მეზობელი ქვეყნების გაცილებით მაღალი პროცენტული წილი, რომელთათვისაც საქართველო კარგად ნაცნობი ტურისტული დანიშნულების ადგილია. გრაფიკზე 1.5 წარმოდგენილია ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემომავალი ტურისტების რაოდენობა წლების მიხედვით.

გრაფიკი 1.5




წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ეროვნული ვალუტა

ბოლო 12 წლის მანძილზე ქართულმა ლარმა ევროსთან მიმართებით დე-ვალვაცია განიცადა, რომელმაც პიკს 2021 წელს მიაღწია და 1 ევროს საშუალო წლიურმა ღირებულებამ 3.81 ლარი შეადგინა (National Bank of Georgia, 2022). 2022 წლიდან კი ლარს გამყარების ტენდენცია აქვს და გასული წლის ბოლოს 1 ევროს საშუალო წლიურმა ღირებულებამ 3.07 ლარამდე დაიკლო. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 1 ევროს საშუალო გაცვლითი კურსი 2.81 ლარი იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 22.7%-ით ნაკლებია. მეორე კვარტალში კი 1 ევროს საშუალო გაცვლითმა კურსმა 2.56 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 23.4%-ით ნაკლებია. მეტწილად ეს პროცესი განპირობებულია გაზრდილი მიგრაციული ნაკადებით, ფულადი გზავნილებით, საგარეო ვაჭრობისა და ტურიზმის აღდგენის დადებითი დინამიკით. საერთო ჯამში, 2010 წელთან შედარებით 2022 წელს ლარი ევროსთან მიმართებაში დაახლოებით 30%-ით იყო გაუფასურებული (National Bank of Georgia, 2022). თუმცა, მიმდინარე წელს მოლოდინია, რომ ლარი შეინარჩუნებს მყარ პოზიციებს, და მისი დევალვაცია მხოლოდ 5-7%-ის დიაპაზონში იქნება მოქცეული. გრაფიკზე 1.6 წარმოდგენილია ქართული ლარის საშუალო წლიური გაცვლითი კურსი ევროსთან მიმართებაში 2010 წლიდან 2023 წლის მეორე კვარტლის ჩათვლით.

გრაფიკი 1.6



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თანამშრომლობის შესაძლებლობები

საქართველოსა და ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის მრავალწლიანი ისტორია არსებობს. საქართველო მათთვის არის საიმედო ენერგეტიკული და სატრანსპორტო გამტარი, რომელზე მოთხოვნაც უკრაინაში რუსული აგრესიისა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ფორმირებასთან ერთად იზრდება. უკვე განხორციელებული პროექტების გარდა, არსებობს ახალი ინიციატივები. ამ ნაწილში შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომელზე საუბრებიც ბოლო თვეების მანძილზე გააქტიურდა.

მიმდინარე წლის ივნისიდან საქართველო-რუმინეთს შორის საბორნე მიმოსვლა დაიწყო, რითაც საქართველო ევროკავშირის წევრ კიდევ ერთ ქვეყანას დაუკავშირდა. ამ იდეაზე მუშაობა 2017 წელს გააქტიურდა, მოლაპარაკებები კი 2018 წლიდან დაიწყო. მიმდინარე წელს უკვე პირველმა ბორანმა დაიწყო ტვირთების გადაზიდვა რუმინეთის მიმართულებით. ამ ეტაპზე ქართული პორტებიდან საბორნე გადაზიდვები ხორციელდება ბულგარეთის ქალაქებში, ვარნასა და ბურგასში. რუმინეთთან საბორნე მიმართულების განვითარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული ბიზნესის ხელმისაწვდომობის გაზრდას ევროპულ ბაზრებზე. თუ, მაგალითად, საქართველოდან ევროპაში სახმელეთო გზით ტვირთების ტრანსპორტირებას დაახლოებით 12-14 დღე სჭირდება, საზღვაო გადაზიდვების შემთხვევაში ეს ვადა 6-7 დღემდე მცირდება.

ევროკავშირთან საბორნე მიმოსვლის ნაკლებობა ბიზნესსექტორისთვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია, რომელიც აძვირებს და აფერხებს ლოჯისტიკურ პროცესებს. ამიტომ სტრატეგიულად აუცილებელია ევროპასთან

ე.წ. „ლურჯი საზღვრის“ მოშლა და საზღვაო გზით კავშირების გაძლიერება. ეს ინიციატივა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის სახელმწიფოებისთვის, რომელთათვისაც ევროპაში ტვირთების ტრანსპორტირება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და მარტივი გახდება. არსებული მძიმე რეგიონული ვითარების გათვალისწინებით, მაღალი მოთხოვნისა და შეზღუდული მიწოდების პირობებში, საქართველოს აქტიურობა სატრანსპორტო-ლოჯისტიკური მიმართულებით კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და ზრდის ე.წ. „შუა დერეფნის“ მიმზიდველობას. რუმინეთთან საბორნე მიმოსვლის პროექტის ფარგლებში ფოთი-კონსტანცას მარშრუტთან ერთად, ბათუმი-კონსტანცას მიმართულებაც განიხილება, რაც საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო აქტიური გახდება.

ევროკავშირთან დაახლოების კუთხით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივაა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი, რომლის იდეაც საქართველოს ეკუთვნის. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს მაღალი ძაბვის გადამცემი წყალქვეშა ქსელის მოწყობას, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირის ელექტრო-ენერგეტიკულ სისტემებს ერთმანეთთან დააკავშირებს. პროექტი მოიცავს 1195 კილომეტრი სიგრძის კაბელის გაყვანას, რომელიც რუმინეთს დაუკავშირდება და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ევროპასთან ელექტროენერგიით ვაჭრობის საშუალებას მისცემს. ცხადია, პროექტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორმხრივი ენერგეტიკული დამოუკიდებლობის გაძლიერებასა და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს რეგიონის ქვეყნებს შორის. აუცილებელია, რომ საქართველო ევროკავშირისთვის იყოს არა მხოლოდ უბრალოდ პარტნიორი და ბენეფიციარი ქვეყანა, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ევროპის ლოჯისტიკურ, სატრანსპორტო და ეკონომიკურ განვითარებაში. პროექტის მონაწილე ქვეყნებად საქართველო, აზერბაიჯანი, რუმინეთი და უნგრეთი არიან წარმოდგენილი. გასული წლის 17 ნოემბერს ამ ქვეყნების ლიდერებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“.

2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკმა შეისწავლა და დაადასტურა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა. პროექტში ფინანსურ ჩართულობაზე მზადყოფნა გამოთქვა როგორც ევროკავშირმა, ასევე მსოფლიო ბანკმა. რაც შეეხება ვადებს, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ტექნიკური სამუშაოებისთვის დაახლოებით 3-4 წელია ნავარაუდები.

გასული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მოთხოვნა საქართველოს დერეფანზე. 2022 წელს სატრანსპორტო დარგების მიერ გადაზიდული ტვირთების ჯამურმა რაოდენობამ 47.3 მილიონი ტონა შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 6.7%-ით მეტია (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2022). გასულ წელს საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდულმა ტვირთების რაოდენობამ 15 მილიონი ტონა შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 15.9%-ით მეტია, ხოლო რკინიგზით გადაზიდული ტვირთების რაოდენობამ კი 12.9 მილიონი ტონა შეადგინა, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 26.4%-ით აღემატება. 2021 წელთან შედარებით გაზრდილია ტვირთბრუნვა საქართველოს ნავსადგურებში, სადაც

გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამ 477 094 TEU შეადგინა (Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, 2022). რაც შეეხება ენერგეტიკულ ტრანზიტს, გასულ წელს საქართველომ 29.8 მილიონი ტონა ნავთობი გაატარა, რაც 2021 წელთან შედარებით 2.8 მილიონი ტონით მეტია, თუმცა თუ 2010 წლის მონაცემებს შევადარებთ, ეს მაჩვენებელი დაკლებულია, რადგან 2010 წელს ქვეყანამ 38.4 მილიონი ტონა ნავთობის გატარება შეძლო (Georgian Oil and Gas Corporation, 2022). საგრძნობლადაა გაზრდილი საქართველოს გავლით ბუნებრივი აირის ტრანზიტი. 2022 წელს ქვეყანამ 19 771 მილიონი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება მოახდინა, რაც წინა წელთან შედარებით 3 166 მილიონი კუბური მეტრით მეტია. თუ მონაცემებს ბოლო ათწლეულის განმავლობაში დავაკვირდებით, დავინახავთ რომ გაზის ტრანზიტის კუთხით შესამჩნევი წინსვლაა. თუ 2010 წელს საქართველომ 4 356 მილიონი კუბური მეტრი გაზი გაატარა, 2022 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 5-ჯერ არის გაზრდილი (Georgian Oil and Gas Corporation, 2022).

საქართველოს კორიდორზე მოთხოვნის ზრდის იმედს რეგიონში მიმდინარე აქტიური პროცესებიც იძლევა. მაგალითად, 2022 წლის ივნისში აზერბაიჯანულმა მხარემ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც 2027 წლამდე ევროპაში აზერბაიჯანული გაზის მიწოდების გაორმაგებას ითვალისწინებს, ეს გზა კი საქართველოზე გადის. ამ ენერგეტიკულ დერეფანს აქტიურად იყენებს კასპის ზღვის რესურსების კიდევ ერთი მომპოვებელი ქვეყანა – ყაზახეთი, რომელიც ასევე გეგმავს ევროპაში საკუთარი ენერგორესურსების მიწოდების ზრდას. ამასთან ერთად, აზერბაიჯანს ამბიციური გეგმები აქვს ელექტროენერჯისა წარმოებისა და ექსპორტის მიმართულებითაც, სადაც საქართველო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და საიმედო პარტნიორია. ამგვარად, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირთან მჭიდრო რეგიონული თანამშრომლობა, როგორც საკუთარი რესურსების რეალიზაციის, ასევე სატრანზიტო ქვეყნის დანიშნულების ზრდის თვალსაზრისით.

დასკვნა

საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობებში უკანასკნელი წლების მანძილზე მნიშვნელოვან პროგრესია. გასულ წელს კი წინა წლების მაჩვენებლები პრაქტიკულად ყველა მიმართულებით გაუმჯობესდა.

საგარეო ვაჭრობის კუთხით საქართველოსთვის როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში ისტორიულ მაქსიმუმზეა. დროსთან ერთად იზრდება სასაქონლო ნომენკლატურა, ასევე ქართული პროდუქციის ცნობადობა და სანდოობა ევროპულ ბაზარზე. საქართველოსთვის, მძიმე ისტორიული წარსულისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სავაჭრო ბაზრების დივერსიფიცირება სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა, რაც ქვეყანას უფრო მდგრადსა და სტაბილურს ხდის გარე თუ შიდა ეკონომიკური შოკების მიმართ.

2022 წელს ევროკავშირის ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მილიარდ დოლარიან ნიშნულს მიუახლოვდა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს რეგიონი ევროპელი ინვესტორების ყურადღებას იქცევს. ინვესტიციები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ძირითადი წყაროა, ამიტომ საქართველოში ბიზნესის კეთებით დაინტერესებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან მჭიდრო კომუნიკაცია კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ევროკავშირი საქართველოს ყველაზე მსხვილი დონორია, რომელიც ეხმარება როგორც საჯარო და სამოქალაქო სექტორსა თუ ბიზნესსუბიექტებს და მისი პირდაპირი ფინანსური ჩართულობით ქვეყანაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება.

გასული წლის განმავლობაში ევროკავშირიდან საქართველოში შემომავალმა ფულადმა გზავნილებმა ისტორიაში პირველად გადააჭარბა ერთ მილიარდ აშშ დოლარს. საქართველოსთვის ფულადი გზავნილების რაოდენობა ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, რომელმაც 2022 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 17.7% შეადგინა.

ევროპასთან სატრანსპორტო და ლოჯისტიკური კავშირების გაძლიერება საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობების დასაწყისია, რაც, ერთი მხრივ, ქვეყნის ექსპორტს, ხოლო, მეორე მხრივ, სატრანზიტო ქვეყნის სტატუსის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, ევროკავშირთან სტაბილური და გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება პირდაპირ აისახება ქართული პროდუქციის უკეთეს ხარისხზე, ბიზნესის ახალ შესაძლებლობებზე, საინვესტიციო თუ ტურისტული მიზმიდევლობის ზრდასა და ქვეყნის ზოგად ეკონომიკურ კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- “Economic Analysis of Georgia – Romania Interconnection”. The World Bank. 2022. Retrieved from: <https://documents1.worldbank.org/curated/en/442791598001931856/pdf/Methodology-Note.pdf>
- “Georgia and Romania Discuss a New Ferry Service”. Ports Europe. 2022. Retrieved from: [https://www.portseurope.com/georgia-and-romania-discuss-a-new-ferry-service/#:~:text=Constanța%2C%20Romania%20\(PortSEurope\)%20October,and%20Georgian%20port%20of%20Poti.](https://www.portseurope.com/georgia-and-romania-discuss-a-new-ferry-service/#:~:text=Constanța%2C%20Romania%20(PortSEurope)%20October,and%20Georgian%20port%20of%20Poti.)
- “New Important Steps in the Black Sea Submarine Cable Project”. CESI. 2022. Retrieved from: <https://www.cesi.it/news/2023/cesi-new-important-steps-in-the-black-sea-submarine-cable-project/>
- “Statement by President von der Leyen at the Signing Ceremony of the Memorandum of Understanding for the Development of the Black Sea Energy Submarine Cable”. European Commission. 2022. Retrieved from: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/statement_22_7807
- „Commission Opinion on Georgia's Application for Membership of the European Union“. COM (202) 405 Final. European Commission. Brussels 2022. Retrieved from: <https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf>
- Economic Review, Main Macroeconomic Indicators – Transport. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. 2022. Retrieved from: <https://www.economy.ge/?page=ecoreview&s=26>
- EU Solidarity for Georgia. EU Neighborhood East. European Commission. 2022. Retrieved from: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-12/STR_EU_Solidarity_Georgia_Dec%2722_GE.pdf
- Exchange Rate Statistics. National Bank of Georgia. 2022. Retrieved from: https://analytics.nbg.gov.ge/views/_21/-_1?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no
- Foreign Direct Investments – Statistics. National Statistics Office of Georgia. 2022. Retrieved from: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/191/foreign-direct-investments>
- Foreign Trade of Georgia – Statistics. National Statistics Office of Georgia. 2022. Retrieved from: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/765/external-merchandise-trade>
- Georgian Foreign Trade Analysis. Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. 2022. Retrieved from: https://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2022/trade_2022.pdf
- International Travel Statistics. Georgian National Tourism Administration. 2022. Retrieved from: <https://gnta.ge/statistics/>
- Oil and Gas Transit through Georgia – Statistics. Georgian Oil and Gas Corporation. 2022. Retrieved from: <https://www.gogc.ge/en/statistics/years>
- Remittances in Georgia – Statistics. National Bank of Georgia. 2022. Retrieved from: https://analytics.nbg.gov.ge/views/Money_Transfers_GE/sheet0?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no